განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2020 წლის 1 ოქტომბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი: 2020 წლის 11
ნოემბერი

თბილისი
2020 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	40 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანაა მაჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის და დიპლომატიის სკოლა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე წელს შეიქმნა წინამდებარე სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში. ამავე დროს აღნიშნულია, რომ დოქტორანტურის საგანამანთლებლო პროგრამა მიზანდ ისახავს კვლევითი საქმიანობისთვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო კადრის და თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით მცოდნე აკადემიური კადრის მომზადებას. როგორც უნივერსიტეტის და ადმინისტრაციის წარმომადგნელებთან გასაუბრებით დადგინდა საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანამანთლებლო პროგრამა, რომელსაც ვადა გაუდის 2020 წლის 31 დეკემბერს, თუმცა უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანამნთლებლო პროგრამის აკრედიტაცია ახალი პროგრამის სტატუსით განხორციელდეს.

პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია, სწავლების ენა ქართულია, მისანიჭებელი ხარისხია საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. საკრედიტო მოცულობაა 40 კრედიტია, მათგან პროგამის სასწავლო კომპონენეტის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 30 კრედიტია, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსების 10 კრედიტი.

პროგრამის განხოციელებას ემსახურება 29 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 16 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და 1 სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური /მოწვეული პერსონალი). თითოეული მათგანის კვალიფიკაცია ძირითადად რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2020 წლის 1 ოქტომბერს. გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პროგრამის სტუდენტები
- პროგრამის კურსდამთავრებულები
- დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 19.10 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;

სადოქტორო პროგრამა პრობლემური აღმოჩნდა პირველ სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) 1.1; 1.2. (1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. სწავლის შედგები) და მეორე სტანდარტის (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება) 2.1, 2.2. 2.3. და 2.6 კომპონენტებთან მიმართებით (2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, 2.3. სასწავლო კურსი, 2.6 სტუდენტის შეფასება), მეოთხე სტანდარტის (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) 4.1 (ადამიანური რესურსი), 4.2 (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება), მეხუთე სატნდარტის (სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) 5.1 (შიდა ხარისხის შეფასება), 5.2 (გარე ხარისხის შეფასება (ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან)) 5.3 (პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება). კერძოდ, შენიშვნები გამოითქვა პროგრამის მიზნების, პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიოდ გაწერის და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის, ასევე პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ, რაშიც იგულისხმება რომ ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობად საერთაშორისო ურთიერთობების დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვროს წინარე განათლება და რელევანტური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, გაიწეროს სადოქტორო ნაშრომის პროექტის მკაფიო კრიტერიუმები, სასწავლო პროგრამაში კურსების შინაარსობრივი გადაფარვის, არჩევითი კურსების არასაკმარისობის და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო სასწავლო კურსებთან ურთიერთმიმართების, კვალიფიციური პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის, ხარისხის მექანიზმების სრულყოფის და ა.შ. მიმართულებით.

რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის მიმართ აქვს რამდენიმე რეკომენდაცია:

1. აუცილებელია პროგრამის მიზნები მკაფიოდ პასუხობდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და პასუხობდეს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნას და გაცნობიერებას“.
2. აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.
3. აუცილებელია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ისეთ განმსაზღვრელ ელემენტთან როგორიცაა ,,ცოდნა და გაცნობიერება“. აუცილებელია პროგრამის სტრუქტურა ისე აიგოს სასწავლო კომპონენტების მიმართულებით რომ მან უზრუნველყოს კურსდამთავრებულის ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვაც.

4. აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს ჩარიცხვის წინაპირობად მოთხოვნილი სადოქტორო ნაშრომის პროექტის მოთხოვნები და შესრულების სტანდარტები.

5. აუცილებელია გაიზარდოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მოცულობა და დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას და და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

6. აუცილებელია, რომ მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (სავალდებულო); ბ) კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში (სავალდებულო) და გ) სწავლების მეთოდები (სავალდებულო). სამეცნიერო კვლევის პროექტები -არჩევითი.

7. აუცილებელია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსი და თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან სასწავლო კურსის დასახელება სწავლების მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან

8. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აღნიშნული დარგის კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა გაუმჯობესდეს დოქტორანტების ხელმძღვანელობის და დისერტაციების კვლევითი მეთოდოლოგიის ხარისხი, რისთვისაც საჭიროა დაიხვეწოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე.

9. აუცილებელია უშუალოდ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში (წარდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე - სამეცნიერო პროექტების ანგარიში - ერთი ან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში, მიიღო მონაწილეობა ღონისძიებების უმეტესობაში)

10. აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეტი ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში.

11. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. მოხდეს მათი კომპლექსურ, სისტემურ მექანიზმებად ჩამოყალიბება.

12. აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფილი გამოყენებისათვის საჭიროა სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების ჩატარება, მათი სისტემატიური მონიტორინგი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიმართ ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევა იყოს რელევანტური და ის განხორციელდეს კონკრეტული საგანამანთლებლო პროგრამის საჭიროების დადგენის აუცილებლობიდან გამომდინარე.

2. სასურველია სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით შეიქმნას დამატებითი მექანიზმები ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად.

3. მიზანშეწონილია, რომ სავალდებულო-არჩევითი კურსების სია გაფართოვდეს სხვა სასწავლო კურსებით, რომლებიც დოქტორანტებს გაუფართოვებს სამეცნიერო თვალსაწიერს.

4. სასურველია სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საგნის სპეციფიკა და რათა არ მოხდეს გადაფარვა, შეფასების მეთოდები ზუსტად იყოს მორგებული და გაწერილი იმ ცოდნის შეფასებაზე რომელიც დოქტორანტმა უნდა მიიღოს მოცემული კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე.

5. სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლაში თანამედროვე კვლევის მეთოდების/მიდგომების მხრივ, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომების, სტატიების და ა.შ. მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას.

6. საუსრველია გამოიკვეთს უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის პროგრესიის პერიოდული შეფასება და მოხდეს მისი ფორმალიზება, გაიწეროს შეფასების კონკრეტული მექანიზმი, ფორმა და შინაარსი.

7. სასურველია, პროექტების ანგარიშის მომზადების დროს დეტალური ინფორმაცია იყოს წარდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამისთვის შედეგების შესახებ კვლევითი საქმიანობის ეფექტური მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მიერ წარდგენილი ორი დოკუმენტის მიხედვით, ნათლად არ ჩანს კონკრეტული პროგრამის და ჩართული აკადემიური პაერსონალის წვლილი მის განხორციელებაში.

8. სასურველია, პროგრამის/ფაკულტეტის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული იქნას კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობაში დოქტორანტებთა სისტემატიური ჩართულობის მექნიზმი, უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების ინფორმირება კვლევითი ინსტიტუტების დარგობრივი სპეციფიკის შესახებ, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინტეგრირება ფაკულტეტის და პროგრამის კვლევით პროცესში.

9. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების დახვეწა სადოქტორო პროგრამის სისტემატიური მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე**
- **მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია ახალი სამეცნიერო კადრების მომზადება რომლებიც უახლეს მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით განხორციელებული კვლევების საფუძველზე შექმნიან ახალ ცოდნას, განავითარებენ ორიგინალურ და სისტემურ კვლევას საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ პრობლემებზე. პროგრამის მიზანი უფრო მეტად ნათლად ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში. თუმცა პროგრამის მიზნებში სუსტად ჩანს თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა, დასახული მიზნებიდან არ ჩანს რომელი არსებული ცოდნის გაფართოებისა საშუალებას იძლევა პროგრამა. ასევე, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი სუსტად აჩვენებს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. მით უფრო ჭირს აღნიშნული დოკუმენტებით საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების დადგენა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მარეგულირებლი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავების ერთ ერთი საფუძველი ,,ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სპეციალისტების მოთხოვნის ზრდა“. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით და გასაუბრებით სუსტად გამოიკვეთა პროგრამის მომზადების ,,ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სპეციალისტების მოთხოვნის ზრდის“ საფუძველი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, არ ჩანს რომ წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ჩართული იყვნენ წინა საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის მომზადებაში და არა მოცემული პროგრამის შემუშავების პროცესში. აქედან გამომდინარე არ იკვეთება სტუდენტების და კურსდამთავრებულების როგორც დაინტერესებული მხარის მონაწილეობა წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში. რასაც ასევე ადასტურებს პროგრამის განმავითარებელი და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფების შემადგენლობაზე რექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, სადაც არ არიან ჩართული სტუდენტები და

კურსდამთავრებულები. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა. ასევე არსებული დოკუმენტაციის შესწავლის, გასაუბრების შედეგად არ იკვეთება პროგრამის შემუშავების თუ შემდგომ პროგრამის განხორცელების პროცესში ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტისა მისიის და სტრატეგიის აღწერის დოკუმენტი; • შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი • საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი • სადოქტორო პროგრამა/კურიკულუმი; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: აუცილებელია პროგრამის მიზნები მკაფიოდ პასუხობდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და პასუხობდეს კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ისეთ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნას და გაცნობიერებას“. აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია შრომის ბაზრის კვლევა იყოს რელევანტური და ის განხორციელდეს კონკრეტული საგანამანთლებლო პროგრამის საჭიროების დადგენის აუცილებლობიდან გამომდინარე. სასურველი პროგრამის სპეციფიკურობიდან და კომპლექსურებიდან გამომდინარე პროგრამასთან მიმართებით შემუშავდეს შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. სადოქტორო პროგრამა ახალი სამეცნიერო კადრების, სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით აღჭურვილი კადრების განვითარებაზეა ორიენტირებული კვლევითი და სასწავლო კომპონენტების შეჯერების საფუძველზე შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების გზით. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის და სასწავლო კურსების და სწავლის შედგების რუკის მიხედვით) თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს დასახული მიზნების შესაბამისი შედეგის მიღწევაში. თუმცა პროგრამის მიზნების და სწავლების შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ ისინი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განმსაზღვრელ ელემენტებთან სუსტ კავშირს ავლენს. სწავლის შედეგები ძირითადად ორიენტირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ისეთ განმსაზღვრელ ელემენტებთან როგორიცაა უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, და ნაკლებად ჩანს კავშირი ისეთ განმსაზღვრელ ელემენტთან როგორიცაა ,,ცოდნა და გაცნობიერება“. მაგალითად წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით სწავლის შედეგია: ,,აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი და აქტუალური საკითხების ფუნდამენტური ცოდნა“. ამ შედეგის ერთ ერთი მიმღწევი სასწავლო კომპონენტი ,,კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებშია“, ხოლო საკუთრივ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები კი არის: ,,აღწერს სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობასა და ემპირიული პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების მიმართულებებს. აფასებს პოლიტიკის მეცნიერებების საკვანძო საკითხებს: ჰიპოთეზებს, საკვანძო ცნებებს, ცვლადებს, გაზომვებს და კვლევების დიზაინს. აჯამებს და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა კვლევის დიზანის ძირითად მახასიათებლებს. ახარისხებს წყაროების მოსაძიებლად ინტერნეტის გამოყენების ხერხებს. ახარისხებს მონაცემთა შეგროცვების იმ მეთოდებს, რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერებებში ყველაზე ხშირად იყენებენ: დაკვირვებას, დოკუმენტების ანალიზს, აგრეგირებული მონაცემების გამოყენებას, გამოკითხვასა და დისკუსიებს პირისპირ ინტერვიუზე. ახდენს სტატისტიკური მნიშვნელობის შემოწმების საკითხებისა და მონაცემების ინტერპრეტირებას. ადარებს შემოწმების სტატისტიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობებს“. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს უნარების, პასუხისმგბელობას და ავტონომიურობას, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში არაფერს ამბობს რამდენად არის, ან როგორ არის სწავლის შედგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; მსგავის მექანიზი არ არის მოცემული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში და არც საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესში. საგანმანთლებლო პროგრამის კურიკულიუმს არ აქვს გაწერილი საგანმანთლებლო პროგრამის შედეგების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების სწორად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რითიც ფასდება პროგრამის ეფექტურობა სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით. კონკრეტული სამიზნე ნიშნულების გარეშე მონაცემთა შეგროვება

აზრს კარგავს. ასევე არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ვერ დაადასტურს მსგავსი მექანიზმის (სამიზნე ნიშნულების) არსებობა.

როგორც უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი. როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ირკვევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. კითხვარი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოკითხვა ტარდება პერიოდულად ონ-ლაინ რეჟიმში. გარდა ამისა, შემუშავებულია კითხვარები დამსაქმებლებისათვის. ამ კითხვარებით, ერთი მხრივ, არის შესაძლებლობა დამსაქმებლებმა შეაფასონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და, მეორე მხრივ, - დამსაქმებელმა შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.სტუ-ს რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანებით შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას კომისია ძირითადად ამოწმებს აუდიტორიებში დამონტაჟებული აუდიო-ვიდეო სისტემის საშუალებით. პირველ რიგში ჩამოყალიბდა და შეთანხმდა მონიტორინგის ობიექტების განსაზღვრის კრიტერიუმები. შერჩევის კრიტერიუმებად დადგინდა სტუდენტების დასწრება/მოსწრების, აგრეთვე, პედაგოგების მიერ მეცადინეობების გაცდენების ანალიზის შედეგები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თხოვნები და სხვა პარამეტრები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. შემოწმების შედეგად მუშავდება წინადადებები როგორც მეცადინეობების ხარისხთან, ასევე, სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა/კურიკულუმი;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნის და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

• ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: აუცილებელია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ისეთ განმსაზღვრელ ელემენტთან როგორიცაა ,,ცოდნა და გაცნობიერება". აუცილებელია პროგრამის სტრუქტურა ისე აიგოს სასწავლო კომპონენტების მიმართულებით რომ მან უზრუნველყოს კურსდამთავრებულის ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვაც. აუცილებელია საგანმანთლებლო პროგრამის შედეგების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების სწორად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რითიც ფასდება პროგრამის ეფექტურობა სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სადოქტორი პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. ესენია: ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს. ჰქონდეს უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ან წარმოადგინოს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტია შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. ჩარიცხვის მსურველებმა უნდა გაიარონ გასაუბრება დარგობრივ საფაკულტეტო კომისიასთან, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს დეკანი. ჩარიცხვის დროს მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/ სადოქტორო პროგრამზე ჩარიცხვის მსურველი ასევე ვალდებულია წარადგინოს სავარაუდო სადოქტორო ნაშრომის პროექტი, თუმცა წინაპირობებში არ არის გაწერილი თუ რა მოთხოვნებს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული პროექტი, ან რა სტრუქტურა შეიძლება ჰქონდეს მას. საგანმანთლებლო პროგრამის კურიკულიუმის მიხედვით კი პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა სადოქტორო ნაშრომის პროექტზე მუშაობა უნდა დაიწყოს სწავლების მეორე სემესტრიდან თანაც სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად. საერთაშორისო ურთიერთობები როგორც კომპლექსური სასწავლო და სამეცნიერო დარგი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის მოითხოვს გარკვევულ წინარე განათლების აუცილებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული მსგავსი აუცილებელი მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და ის მჭიდროდ უკავშირდება პროგრამის შინაარსს და სტრუქტურას. რამდენადაც სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტები ნაკლებად უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას, შესაბამისად, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად პროგრამაში უნდა განისაზღვროს წინარე განათლება ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. აღნიშნული შეზღუდვა აუცილებელი წინაპირობა იქნება სადოქტორო პროგრამებზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის. საჭიროების შესაბამისად, უნდა მოხდეს რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არ არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ვინაიდან პროგრამის სასწავლო კომპონენტები შინაარსობრივად და კრედიტების მოცულობით ვერ უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი • ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია მკაფიოდ გაიწეროს ჩარიცხვის წინაპირობად მოთხოვნილი სადოქტორო ნაშრომის პროექტის მოთხოვნები და შესრულების სტანდარტები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად პროგრამაში განისაზღვროს წინარე განათლება ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურის, კურიკულიუმის რუკის გაცნობა და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს იმ საგანამანთლებლო შედეგებზე გასვლას, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული, ვინაიდან არც სასწავლო კომპონენტების საერთო საკრედიტო მოცულობა (განსაკუთრებით სავალდებულო სასწავლო კურსები) და არც პროგრამის შინაარსი სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო კომპონენტში არ პასუხობს შესაბამისი სწავლების საფეხურს, განსაკუთრებით დოქტორანტისათვის დარგის ფუნდამენტური ცოდნის მიცემის მიმართულებით. პროგრამა სასწავლო კომპონენეტის მიხედვით მოიცავს 40 კრედიტს, სადაც სავალდებულო კურსებს ეთმობა 30 კრედიტი, ხოლო არჩევით კურსებს 10 კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსებია: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, სწავლის მეთოდები, კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში, პროფესორის ასისტენტობა საერთაშორისო ურთიერთობებში. სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს დოქტორანტისათვის დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას. სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო კომპონენეტებიდან დოქტორანტისათვის დარგში ფუნდამენტურ ცოდნის მიცემას ემსახურება მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში", თუმცა საკუთრივ სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი და სწავლის შედეგები საკმაოდ სპეციფიკური და ვერ უზრუნველყოფს დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას. შესაბამისად პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა არ არის შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი მოიცავს სამეცნიერო/კვლევითი პროექტი, თემატური სემინარი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქართულ ან ინგლისურ ენაზე). კვლევითი კომპონენეტები მოიცავს: სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, კოლოქვიუმი1; კოლოქვიუმი 2; კოლოქვიუმი 3. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენეტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადექვატური.

პროგრამის შინაარსი ნაკლებად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, იმდენად რამდენადაც სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტები ნაკლებად უზრუნველყოფს დოქტორანტს დარგში ფუნდამენტური ცოდნის აღჭურვას, შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტების მოცულობა არასაკმარისია იმ სადოქტორო პროგრამისათვის, რომელის ჩარიცხვის წინაპირობად არ არის განსაზღვრული წინარე განათლება ან რელევანტური საგანმანთლებლო პროგრამა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ სასწავლო კომპონენტების კრედიტების შემცირება და პროგრამის სტრუქტურის იმ ფორმით წარმოდგენა რაც ამჟამად არის მოცემული მათი მოთხოვნით არის განპირობებული რომ, ისინი ,,მუშაობენ და დრო არ ჰქონდათ ლექციებზე სიარულის, ამიტომ უმჯობესია თუ მეტ დროს დავუთმობთ კვლევას". აკადემიურ პერსონალმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს სასწავლო კომპონენეტის შემცირება (მოქმედი პროგრამის არის 60 კრედიტი, ხოლო წინამდებარე

პროგრამის 40 კრედიტი) ზოგადად აამაღლებს კვლევის ხარისხს, თუმცა ვერ დაასაბუთეს ხარისხის ამაღლების კუთხით თუნდაც რა დამატებითი აქტივობები განხორციელდებოდა, იმასთან შედარებით რაც მოქმედი პროგრამით უკვე არის გათვალისწინებული. მით უფრო კანონი ისედაც არ აწესებს რაიმე ზღვარს კვლევით სასწავლო კომპონენტის საკრედიტო მოცულობასთან მიმართებით, ასეთ შემთხვევაში სასწავლო კომპონენეტის საკრედიტო მოცულობის შენცირება მეტ დასაბუთებას მოითხოვს. ვინაიდან კურიკულიუმის რუკის მიხედვით სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ დოქტორანტისატვის ფუნდამენტური ცოდნის მიცემას შესაბამისად პროგრამის შინაარსი არ ითვალისიწნებს ახალი დარგის კვლევის შედეგებს და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. შესაბამისად, აუცილებელია შეიცვალოს და გაიზარდოს პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი ამის საშუალებას იძლევა და ნაცვლა 40 კრედიტისა გახდეს 60 კრედიტი) და მას დაემატოს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის დარგში ფუნდამენტრუი ცოდნის მიცემას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, არ ჩანს რომ წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ჩართული იყვნენ წინა საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის მომზადებაში (თუმცა ჯგუფმა ვერ დაადგინა რომელ პროგრამაზე იყო საუბარი) და არა მოცემული პროგრამის შემუშავების პროცესში. აქედან გამომდინარე არ იკვეთება სტუდენტების და კურსდამთავრებულების როგორც დაინტერესებული მხარის მონაწილეობა წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში. რასაც ასევე ადასტურებს პროგრამის განმავითარებელი და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფების შემადგენლობაზე რექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, სადაც არ არიან ჩართული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, განმავითარებელ კომისიის წევრებთან, თვითშეფასების ჯგუფთან • საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი • განმავითარებელი კომისიის და თვითშეფასების ჯგუფის სხდომების ოქმები
რეკომენდაციები: აუცილებლია გაიზარდოს სავალდებულო სასწავლო კომპონენტის საკრედიტო მოცულობა და დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში ფუნდამენტური ცოდნის მიცემას და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ სავალდებულო-არჩევითი კურსების სია გაფართოვდეს სხვა სასწავლო კურსებით, რომლებიც დოქტორანტებს გაუფართოვებს სამეცნიერო

თვალსაწიერს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. თუმცა პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავალო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულიუმის რუკამ აჩვენა რომ სავალდებულო სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას დოქტორონატისატვის დარგის ფუნდამენტური ცოდნის მიცემის მიმართულებით. შესაბამისად პროგრამის მიზნებში სუსტად ჩანს თუ დარგის რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა, დასახული მიზნებიდან არ ჩანს დარგის რომელი არსებული ცოდნის გაფართოებისა საშუალებას იძლევა პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები მეტნაკლებად შეესაბამება ერთმანეთს. კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად, პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და თუმაცა ისე არ აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის მიღწევებს. კურიკულიუმის რუკის მიხედვით სწავლების შედეგს - ,,აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული უახლესი და აქტუალური საკითხების ფუნდამენტური ცოდნა“ უზრუნველყოფს სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები“. თუმცა ამ უკანასკნელის სწავლის შედეგები სულ სხვა მოცემულობისაა, კერძოდ ,,აღწერს სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობასა და ემპირიული პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების მიმართულებებს. აფასებს პოლიტიკის მეცნიერებების საკვანძო საკითხებს: ჰიპოთეზებს, საკვანძო ცნებებს, ცვლადებს, გაზომვებს და კვლევების დიზაინს. აჯამებს და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა კვლევის დიზაინის ძირითად მახასიათებლებს. ახარისხებს წყაროების მოსაძიებლად ინტერნეტის გამოყენების ხერხებს. ახარისხებს

მონაცემთა შეგროცვების იმ მეთოდებს, რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერებებში ყველაზე ხშირად იყენებენ: დაკვირვებას, დოკუმენტების ანალიზს, აგრეგირებული მონაცემების გამოყენებას, გამოკითხვასა და დისკუსიებს პირისპირ ინტერვიუზე. ახდენს სტატისტიკური მნიშვნელობის შემოწმების საკითხებისა და მონაცემების ინტერპრეტირებას. ადარებს შემოწმების სტატისტიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობებს".

სასწავლო კურსების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ არსებობს გარკვეული, არამიზანშეწონილი გადაფარვები სასწავლო კურსებს შორის. კერძოდ, ეს ეხება შემდეგ კურსებს: სასწავლო კურსის სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა - ,,მიზანია აკადემიურ სფეროში პროფესიული მოღვაწეობის ტექნიკის შესახებ ღრმა ცოდნის მიცემა და კონკრეტული სასწავლო კურსის შესატყვისი **სწავლების სტრატეგიების, მეთოდების შერჩევისა და გამოყენების სწავლება**", ხოლო სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები" - მიზანია აკადემიურ სფეროში დოქტორანტებისათვის პროფესიული მოღვაწეობის შესახებ ღრმა ცოდნის მიცემა **და სწავლების სტრატეგიების, მეთოდების შერჩევისა და გამოყენების** სწავლება. ხშირ შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ბუნდოვანი, არარელევანტური, მაგალითად, სასწავლო კურსის - სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის სწავლების შედეგად სტუდენტი ,,განსაზღვრავს სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის უახლეს მიღწევებს", ან კიდევ ,,აღწერს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას". ან კიდევ ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის ცოდნას იყენებს **ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის;** ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე." ამ შედეგებით ის პირდაპირ ფარავს კვლევის მეთოდების სასწავლო კურს.

არ არის თანხვედრაში სასწავლო კურსის დასახელება სწავლების მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, მაგალითად სასწავლო კურსის კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში, კურსის სწავლის შედეგად ,,აღწერს სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობასა და **ემპირიული პოლიტიკის მეცნიერებების** განვითარების მიმართულებებს. აფასებს **პოლიტიკის მეცნიერებების** საკვანძო საკითხებს: ჰიპოთეზებს, საკვანძო ცნებებს, ცვლადებს, გაზომვებს და სხვადასხვა კვლევის მახასიათებელს. აჯამებს და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა კვლევის დიზანის ძირითად მახასიათებლებს. ახარისხებს წყაროების მოსაძიებლად ინტერნეტის გამოყენების ხერხებს. ახარისხებს მონაცემთა შეგროცვების იმ მეთოდებს, **რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერებებში ყველაზე ხშირად იყენებენ:** დაკვირვებას, დოკუმენტების ანალიზს, აგრეგირებული მონაცემების გამოყენებას, გამოკითხვასა და დისკუსიებს პირისპირ ინტერვიუზე. ახდენს სტატისტიკური მნიშვნელობის შემოწმების საკითხებისა და მონაცემების ინტერპრეტირებას. ადარებს შემოწმების სტატისტიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობებს. ამ შედეგებით და კურსის შინარსიის გათვალისიწინებით სასწავლო კურსის რეალური დასახლება იქნებოდა კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში. მნიშვნელოვანი გადაფარვებია ცალკეულ სასწავლო კურსების თემატიკაშიც, მაგალითად სასწავლო კურსის სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა მოიცავს თემებს: თემა 2 სამეცნიერო კვლევა: კვლევის მნიშვნელობა; კვლევის მიზნები; მოტივაცია კვლევაში; თემა 3 სამეცნიერო კვლევის პროცესი: კვლევის მეთოდოლოგია; კვლევა და სამეცნიერო მეთოდი; კვლევის პროცესი; კვლევის ეთიკა. ამ თემატიკით ეს სასწავლო კურსი პირდაპირ იმეორებს სასწავლო კურსის კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობეში, თემა 2 მეცნიერული კვლევის მეთოდების სახეები და მათი გამოყენება სამეცნიერო ნაშრომში. თემა 3 სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური მხარე, თემა 13: მეცნიერების პროფესიული ეთიკა: ეთიკა და პროფესიული ეთიკა. ოპონენტის ღირსების ხელყოფა. კარგი იქნება თუ მსგავსი გადაფარვები აღმოიფხვრება.

თანაც ყველა ეს სასწავლო კურსი ერთ და იმავე სემესტრში ისწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • კურიკულიუმის რუკა • საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები: აუცილებელია, რომ მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის გადახედვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (სავალდებულო); ბ) კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში (სავალდებულო) და გ) სწავლების მეთოდები (სავალდებულო). სამეცნიერო კვლევის პროექტები -არჩევითი. აუცილებელია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსი და თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან სასწავლო კურსის დასახელება სწავლების მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლიობით უზრუნველყოფს სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენეტებს: კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში, სამეცნირო კომუნიკაციის ტექნიკა, სამეცნიერო კვლევის პროექტი, პროსპექტუსი, კოლოქვიუმი 1, კოლოქვიუმი 2, კოლოქვიუმი 3. აღნიშნული კომპონენტების საკრედიტო მოცულობა სავსებით საკმარისია კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავებისთვის. მაგალითად, კვლევის პროექტი/პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო

ლიტერატურის დამუშავებას, კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიასა და საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება. ხოლო კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება. კოლოკვიუმში დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მიმართულება; წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები; გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი. სტუდენტი სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე ვალდებულია წარადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სტუდენტს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ათვისებასა და სტატიების მომზადებაში დახმარებას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც ფუნქციებიც გაწერილია დოქტორანტურის დებულებით.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი, კომერციული და კერძო სამართლის კვლევითი ინსტიტუტი, კულტუროლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი ინსტიტუტი, ჩინეთის კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული კვლევითი ცენტრები დოქტორანტებს ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის განხორციელებაში. ცენტრის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევით მუშაობაში ჩართული არიან დოქტორანტები.

ფაკულტეტის ადმინისტრაციას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობისათვის ფინანსური რესურსები, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას.

სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტი და კერძოდ, ფაკულტეტი დიდ მნიშნელობას ანიჭებს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას. იმართება კონფერენციები; ფაკულტეტის მხრიდან ხელშეწყობილია სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა შიდა საგრანტო პროექტებში, მოქმედებს შიდასაფაკულტეტო საგრანტო პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც პედაგოგებს და სტუდენტებს საშუალება აქვთ, განახორციელონ მიმდინარე პრობლემურ საკითხებზე კვლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კვლევითი სტრუქტურების დებულებები და ანგარიშები
- ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთა
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- კვლევითი პროექტების ანგარიშები

• ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 27 ივნისის ბრძანება # 36/12 დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვის შესახებ.
რეკომენდაციები: არ იკვეთება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ იკვეთება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ის ასევე ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთან

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- საგნების სილაბუსები

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებო პროგრამაში ნათლად არის გაწერილი როგორც სასწავლო ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურები, შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენეტები, შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები. შეფასების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და მის შესახებ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღოთ ინფორმაცია როგორც საგნების სილაბუსებისა, პროფესორ-მასაწავლებელების, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულ გვერდზე განთავსებული შეფასების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების მეშვეობით.

პროგრამა ეყრდნობა შუალედური და დასკვნითი შფასებების ფორმებს. შუალედური შეფასება მოიცავს მრავალჯერად (მიმდინარე აქტივობები) და ერთჯერად (შუალედური გამოცდა) შეფასებებს. შეფასების კომპონენეტებად გამოყენებული ზეპირი/წერილობითი გამოკითხვა, ზეპირი/წერილობითი გამოცდა.

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების ფორმები და მეთოდები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. გათვალისწინებულია შეფასების ორი ფორმა - შუალედური (მოიცავს მიმდინარე მრავალჯერად და შუალედურ საგამოცდო ერთჯერად შეფასებას) და დასკვნითი შეფასებები. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება (40) არ აღემატება დადგენილ ზღვარს, შუალედური (მრავალჯერად მიმდინარე აქტივობები და ერთჯერადი შუალედური გამოცდა) შეფასების საერთო ქულა შეადგენს 60-ს. მათგან 20 ქულა არის შუალედური გამოცდის ერთჯერადი შეფასება, ხოლო 40 ქულა მიმდინარე აქტივობის მრავალჯერადი შეფასება). თითოეული საგნის სილაბუსში მოცემულია შეფასების დეტალური აღწერა, სასწავლო აქტივობის, ქულებისა და შეფასების მექანიზმების მითითებით, რაც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით,

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენეტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა ხაზგასასმელია რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მოითხოვენ რიგი შეფასების მეთოდების ვალიდაციას, კურსის შედეგებზე გასვლის კუთხით, კერძოდ: სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა საერთაშორისო ურთიერთობებში: შეფასების ერთ-ერთ მეთოდად მოცემულია პრეზენტაციის მომზადება, თუმცა კურსის ამოცანებიდან და შეფასების დანარჩენი მეთოდების გათვალისწინებით, არ ჩანს ნათლად თუ რა კუთხით აფასებს კონკრეტული მეთოდი დოქტორანტის ცოდნას მოცემული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე; - სასწავლო კურსი - საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები: შეფასების მეთოდად წარმოდგენილია ღია კითხვები, სასურველია გაიწეროს რომ წერილობით ფასდება მოცემული მეთოდით სტუდენტების ცოდნა. აღნიშნული დეტალურად მისცემს სტუდენტებს წარმოდგენას რომ მათი ცოდნა ფასდება კომპლექსურად როგორც ზეპირი ასევე წერილობითი მეთოდით.

საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად იყენებს ისეთ შეფასების საშუალებებს როგორიცაა: ტესტი, ესე, პრეზენტაცია, დისკუსია, ჯგუფში მუშაობა, პროექტის დაწერა, დავალების შესრულება. შეფასების საშუალებას აქვს შესაბამისი შეფასების კრიტერიუმი, რითაც ფასდება სასწალო კურსის სწავლის შედეგის მირწევის დონე. ესაა შუალედური გამოცდისთვის 20 ქულა, დასკვნითი გამოცდისტვის 40 ქულა და მიმდინარე/შუალედური აქტივობების 5/10 ქულიანი კრიტერიუმები. აღსანიშნავია,რომ სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები მსგავსია. სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხების ათვისება საბოლოოდ ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ასევე 100 ქულიანი შეფასების სისტემით ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.

საერთო ჯამში, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების რელევანტურ ფორმებს, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ აღნიშნული კურსის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა საჭიროებენ სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში უფრო მეტად მოყვანას.

შეფასება, ისევე, როგორც უკუგება აისახება და იმართება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სტუდენტი ინფორმირებულია უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის და შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციების შესახებ.

სტუდენტი ინფორმირებულია უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის და შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციების შესახებ. სტუდენტი იღებს უკუკავშირის სწავლის შედეეგბზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე შედეგების გაუმჯობესების შესახებ. ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა დაამყაროს უკუკავშირი კურსის პროფესორთან და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი ნაკლოვანი მხარეები. აღნიშნულ პროცესში.

სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს მობილური აპლიკაციით GTU Table, რომლის მეშვეობით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შეფასების შესახებ. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ, ასევ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენეტების შესწავლამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აქვს სტუდენთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რასაც სტუდენტები საჭირეობისამებრ იყენებენ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციის მიხედვით ,,სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის, საკურსო

პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა“.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენეტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. დასაცავად წარმოდგენილი ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე.

დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს იცავს სადისერტაციო კოლეგიის წინაშე. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის. დოქტორანტურის დებულების მიხედვით იგი შედგება სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან; მათ შორის 30% არ უნდა იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები. დოქტორანტურის დებულება ცალსახად არ აკონკრეტებს რომ ერთ ერთი რეცენზენტი აუცილებლად მოწვეული პირი უნდა იყოს სხვა უმაღლესის სასწავლებლიდან. თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნა რომ პრაქტიკაში რეცენზენტის მოწვევა ხდება სხვა უმაღლესი სასწავლებლიდანაც. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე საბჭოს თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად,საბჭოს წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული და დაიწერება საბოლოო შეფასება. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. დადებითი შეფასებებია: ა) ფრიადი(summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი(magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი(cum laude) -შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო(bene) -შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი(rite) -შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასებებია: ა)არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული შეფასებები მიიღება საუნივერსიტეტო, შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ დადგენილი კრიტერიუმებით, ფარულად მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით, კერძოდ: • შეფასება „ფრიადი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 91-100 ქულას; • შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 81-90 ქულას; • შეფასება „კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 71-80 ქულას; • შეფასება „საშუალო“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 61-70 ქულას; • შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 51-60 ქულას; • შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 41-50 ქულას;• შეფასება „სრულიად არადამაკმაყოფილებელი მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს. დადებითი შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. დისერტაციის დაცვაზე „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღებისას, დოქტორანტს აქვს ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისიწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას უშუალოდ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. თუმცა დოქტორანტს მეორე, მესამე,მეოთხე და მეხუთე სემესტრებში უწევს პროესპექტუსის, კოლოქვიუმი 1, კოლოქვიუმი 2 და კოლოქვიუმი 3 მომზადება რის შესახებაც დოქტორანტი კვლევის არსებულ ეტაპებზე მიღებულ შედეგებს წარუდგენს აკადემიურ

დეპარტამენტს და შემდეგ კომისიას. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. პროსპექტუსის და თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს კვლევას. საუსრველია გამოიკვეთს უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის პროგრესიის პერიოდული შეფასება და მოხდეს მისი ფორმალიზება, გაიწეროს შეფასების მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთან, კურსდამ-თავრებულებთან • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი • სასწავლო კურსის სილაბუსები • აპლიკაცია GTU Table • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია • სადოქტორო ნაშრომები • დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულებები • განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება
რეკომენდაციები: პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია ზოგიერთი სასწავლო კურსში მოხდეს შეფასების მეთოდების ვალიდაცია, კურსის შედეგებზე გასვლის კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საგნის სპეციფიკა, რომ შეფასების მეთოდები ზუსტად იყოს მორგებული და გაწერილი იმ ცოდნის შეფასებაზე რომელიც დოქტორანტმა უნდა მიიღოს მოცემული კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე. საუსრველია გამოიკვეთს უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის პროგრესიის პერიოდული შეფასება და მოხდეს მისი ფორმალიზება, გაიწეროს შეფასების კონკრეტული მექანიზმი, ფორმა და შინაარსი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები მოცემული ახალი პროგრამის ფარგლებში მიიღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, კვლევითი სამუშაოს განსახორციელებლად და სადოქტორო ნაშრომის მოსამზადებლად. სტდუდენტებთან და კურსდამთავერბულებთან გასაუბრებამ დაადასტურა აღნიშნული პრაქტიკის არსებობა. სტუდენტს, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიეწოდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ამავდროულად, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედებს პოლიტიკისა და სამართლის კვლევითი ინსტიტუტი და დიპლომატიური ლაბორატორიის ცენტრი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას კვლევით პროცესებში. ამოქმედებულია ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით სწავლების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტს შორის უწყვეტ უკუკავშირს. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ აკრედიტაციაზე წარდგენილი აღნიშნული პროგრამა სრულიად განახლებულია და მას არ ჰყავს მოცემულ ეტაპზე სტუდენტები, წინა პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მოცემული პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა;
- ინტერვიუ მოქმედი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:

არ იკვეთება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ იკვეთება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ იკვეთება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ იკვეთება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ონლაინ შეხვედრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება კვალიფიციური კადრები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთან ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად კვლევითი საქმიანობის წარმოებას. სტუ-ს მიერ შემუშავებულია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია. გათვალისწინებულია დოქტორანტის და ხელმძღვანელი რეგულარული შეხვედრები. ამასთანავე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საკვლევი თემიდან გამომდინარე აიყვანოს თანახელმძღვანელი. ხაზგასასმელია, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარული კონსულტაციების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტის კონსულტირებას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით როგორიცაა: ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება, კვლევის დიზაინის შერჩევა, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის პროცესებთან დაკავშირებით. მოცემული საკონსულტაციო შეხვედრები მნიშვნელოვან როლს

თამაშობენ დოქტორანტის მიერ კვლევითი პროცესების სწორი მიმართულებით წარმართვის კუთხით. აქვე აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კურსდამთავრებულთა სადოქტორო ნაშრომებს, რომლებშიც გამოიკვეთა მეთოდოლოგიური ნაწილის და თეორიული ჩარჩოს დახვეწის აუცილებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი პროგრამისგან განსხვავებით ახალ პროგრამაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული სასწავლო კომპონენტი და მეტი ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს, სასურველია სამომავლოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ გაძლიერდეს ყურადღება სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის თეორიული ჩარჩოსა და კვლევის მეთოდოლოგიის სწორად შემუშავებისა და გამოყენების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; o კურსდამთავრებულთა ნაშრომები; o საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუ მოქმედი პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები: არ იკვეთება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელების მხარდაჭერით გაძლიერდეს და დაიხვეწოს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მეთოდოლოგიური ნაწილი და თეორიული ჩარჩო.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალი შედგება 29 წევრისაგან (16 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 1 მოწვეული ლექტორი). აღსანიშნავია, რომ 29-დან აკადემიური პერსონალის 28 წევრი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. 1 მოწვეული სპეციალისტი უცხოელია, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და ამ დარგში მოწინავე მეცნიერული სკოლების/ტრადიციების გამოცდილების გაზიარების. ამავე დროს, აღნიშნული მოწვეული პროფესორის კვალიფიკაციის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ვერ მოწმდება, რადგან იგი წარდგენილია გერმანულ ენაზე. გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში მოიპოვება სრულყოფილი ინფორმაცია აკადემიური პერსონალის გუნდის წევრების გამოცდილების შესახებ. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია 15 ადმინისტრაციული და დამხმარე პეროსნალი. დადებითი მხარეა, რომ გასაუბრებების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა პროგრამის ხელმძღვანელის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისათვის. ამავე დროს, აკადემიური პერსონალის გუნდი დაკომპლექტებულია უმეტესწილად ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის დარგის სპეციალისტებით, ვისიც კვალიფიკაცია რელევანტურია საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვისაც. ამასთანავე, წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, მხოლოდ 2 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს გააჩნიათ სოციალურ/ პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგის კვალიფიკაცია და შესაბამისი კვლევითი გამოცდილება. იქიდან გამომდინარე, რომ სადოქტორო პროგრამის პრიორიტეტია ახალი და ინოვაციური ცოდნის შექმნა დარგის შესაბამისად, დარგობრივი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა აუცილებელია პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის და დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ეფექტური ხელმძღვანელობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის ვიზიტის დრეს ასევე გამოგზავნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის შესახებ, რომელიც (როგორც გაირკვა მათთან გასაუბრების დროს) მონაწილეობას იღებს სადოქტორო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტების განხორციელებაში (როგორიცაა კვლევითი ცენტრების საქმიანობა, დოქტორანტების ხელმძღვანელობა/ კონსულტირება, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარება და ა.შ.). ამავე დროს, კარგი იქნებოდა ამ მოწვეული პერსონალის ჩართულობის წარდგენილი პროგრამის განხორციელებაში უფრო დეტალური აღწერა (მაგალითად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ დოკუმენტში), რათა მოხდეს მათი მონაწილეობის ხარისხის შესაბამისი განსაზღვრა და სისტემატიური შეფასება.

დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუ-ის გააჩნია აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური და მოწვეული პროფესორების დატვირთვის სქემა მოიცავს სასწავლო (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო პროექტი/სამუშაო და ა.შ) ან/და კვლევით კომპონენტებს (მაგისტრანტის და დოქტორანტის ხელმძღვანელობა), რომელიც ასახულია „სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციაში“.

უსდ-ს მიერ დატვირთვის სქემის შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე აკადემიური დატვირთვის არაუმეტეს 70% უნაწილდება აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პროფესორებს, უფროსი მასწავლებლებსა და მასწავლებლებს საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი დატვირთვა ვაკანტურია (საათობრივი).

აკადემიური დატვირთვის სალექციო საათები ნაწილდება დეპარტამენტის მხოლოდ პროფესორებზე, ასოცირებულ, ასისტენტ და მოწვეულ პროფესორებზე. აგრეთვე სამეცნიერო / აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეულ მასწავლებლებზე, ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში.

ვაკანტური (საათობრივი) აკადემიური დატვირთვის საათები პირველ რიგში საათობრივი ანაზღაურების ნიხრით ნაწილდება აკადემიურ პერსონალზე (მისი თანხმობის შემთხვევაში). აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლის და მოწვეული მასწავლებლის ჯამური აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს.

შთამბეჭდავია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, ამავე დროს სასურველია მეტი ნაშრომი/კვლევა გამოქვეყნდეს უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების და/ან მომიჯნავე დარგებში საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ჯგუფის ოქმი # 3
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია
- აქტივობების ჩამონათვალი - 5
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პროგრამაში ჩართული პერსონალის ჩამონათვალი/დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

- აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის აღნიშნული დარგის კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა გაუმჯობესდეს დოქტორანტების ხელმძღვანელობის და დისერტაციების კველვის მეთოდოლოგიური ხარისხი, დაიხვეწოს პროგრამის კველვითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლაში თანამედროვე კვლევის მეთოდების/მიდგომების მხრივ, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომების, სტატიების და ა.შ. მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ აღინიშნება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ აღინიშნება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებმა და ასევე წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ჩანს რომ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ყოველწლიულად ხდება.

სამეცნიერო პროექტების ორი ანგარიშის მიხედვით, გამოვლინდა ფაკულტეტზე 20 განხორციელებული კვლევითი პროექტი. პროექტების შედეგად გამოიცა მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და გამოიცა საკონფერენციო ნაშრომთა კრებულები.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი ინფორმაცია მოიცავს როგორც სამართლის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების დარგის პროექტებს. აქედან გამომდინარე, სასურველია სამომავლოდ გამოიყოს პროექტების ანგარიში შესაბამისი დარგების მიხედვით, რათა მიღებული შედეგები უფრო ეფექტურად გამოყენებული იქნას

პროგრამების სწავლის შედეგების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი ასპექტების შესაფასებლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი კვლევითი პროექტები: „ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია“, სადაც ჩართული იყვნენ ფაკულტეტის 7 პროფესორი და პროექტის შედეგად გამოიწა წიგნი, ასევე დაიბეჭდა სტატიები; ასევე, ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ჩატარებული საზაფხულო სკოლის შესახებ და საერთაშორისო კონფერენცია აღმოსავლეთის პარტნიორობის 10 წლისთავის აღსანიშნავად, სადაც მონაწილეობა მიიღეს სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალი.

ფაკულტეტზე ასევე ხორციელდება პროექტი „ბოსნია და ჰერცეგოვინას პოსტკონფლიქტური სახელმწიფოს მოწყობა, მართვა და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოსთვის“. მიუხედავად ამ პროექტის მნიშვნელობისა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ახალი ცოდნის გენერირებისათვის, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალი (წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით) არ იყო ჩართული აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

საერთო ჯამში, ინტერვიუების დროს დადასტურდა ის ფაქტი, რომ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, რის საშუალებასაც აძლევს ფაკულტეტის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი. ფაკულტეტზე ფუქნციონირებს კვლევითი ცენტრების და ლაბორატორიების საკმარისი რაოდენობა, იმისათვის რომ საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი საქმიანობის ხარისხი გაუმჯობესდეს. ამავე დროს, ფაკულტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს არსებული ცენტრების მიერ მეტ ჩართულობას საერთაშორისო მოკლე- და გრძელვადიანი კვლევითი პროექტების განხორციელებაში უშუალოდ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისათვის არსებული საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე, სასურველია, დაიხვეწოს განხორციელებული პროექტების ფარგლებში ანგარიშების შემუშევება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში
- 2019 წლის პროექტების საბოლოო ანგარიში
- სამეცნიერო პროექტების ანგარიში
- ღონისძიებების ჩამონათვალი აკადემიური, მოწვეული პერსონალის მონაწილეობით

რეკომენდაციები:

- სასურველია უშუალოდ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში (წარდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე - სამეცნიერო პროექტების ანგარიში - ერთი ან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში, მიიღო მონაწილეობა ღონისძიებების უმეტესობაში)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროექტების ანგარიშის მომზადების დროს დეტალური ინფორმაცია იყოს წარდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამისთვის შედეგების შესახებ კვლევითი საქმიანობის ეფექტური მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მიერ წარდგენილი ორი დოკუმენტის მიხედვით, ნათლად არ ჩანს კონკრეტული პროგრამის და ჩართული აკადემიური პერსონალის წვლილი მის განხორციელებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ აღინიშნება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, შეფასებული იქნა მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული ბაზების უზრუნველყოფა. თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები; პროექტორები). საინფორაციო ტექნიკა აქტიურად გამოიყენება ლექციების მიმდინარეობისას. წესრიგშია საევაკუაციო სისტემა. ბიბლიოთეკაში წარდგენილია საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამისათვის აუცილებელი წიგნები, სახელმძღვანელოები ქართულ და უცხოურ ენებზე და რიდერები, რომელიც შეიძლება, მოძიებული იქნას ონლაინ-კატალოგით. ბიბლიოთეკა ფლობს ონლაინ-ბაზების შთამბეჭდავ ჩამონათვალს (Duke University Press, Web of Science, Cambridge Journals, SAGE Journals, ScienceDirect, Scopus და სხვა). უსდ მთლიანად ინტერნეტიზირებულია, მათ შორის ბიბლიოთეკაც (უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბილიოთეკო ფონდთან და ონლაინ ბაზებთან დისტანციურ რეჟიმშიც). წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ბიბლიოთეკა სრულყოფილადაა გამართული ინფრასტრუქტურულადაც (მაგიდები, სკამები, კარადები, კომპიუტერი და ა.შ.) გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთით თუ ტექნიკით. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც იტვირთება სასწავლო მასალები, სილაბუსები და შეფასებები. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ლიტერატურის შემოწმება განხორციელდა რესურსების შემდეგი ბმულების მიხედვით: https://gtu.ge/Library/Monacemtha_bazebi/; http://opac.gtu.ge/ აღსანიშნავია კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის როლი სადოქტორო პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის. პროგრამაში ჩართული სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა მათი მონაწილეობა სხვადასხვა კვლევით პროექტებში კვლევითი ცენტრების ფარგლებში. ამავე დროს, კურსდამთავრებულებთან

ინტერვიების დროს, გამოვლინდა მათი ნაკლები ინფორმირება ფაკულტეტზე/ პროგრამის ფარგლებში კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში
- ვიზიტის ფარგლებში მოთხვონილი ლიტერატურა (სასწავლო კურსების სილაბუსების ფარგლებში)
- პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

- არ აღინიშნება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის/ფაკულტეტის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული იქნას კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობაში დოქტორანტებთა სისტემატიური ჩართულობის მექანიზმი, უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების ინფორმირება კვლევითი ინსტიტუტების დარგობრივი სპეციფიკის შესახებ, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინტეგრირება ფაკულტეტის და პროგრამის კვლევით პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ აღინიშნება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ აღინიშნება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ფაკულტეტის ბიუჯეტი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა არსებული პროგრამის ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულ ხარჯების და შემოსავლების შესახებ. მათ შორის ყველაზე დიდი თანხა გამოყოფილია შრომის ანაზღაურებისა და საქონლის და მომსახურებისათვის (მივლინების ხარჯებს ეკუთვნის გამოყოფილი თანხის თითქმის ¼). სასურველია, წარდგენილ ბიუჯეტში ასევე მითითებული იქნას გრანტების და გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გათვალისწინებული ხარჯები.

ამის გარდა ბიუჯეტში არ აღინიშნება ინფორმაცია კონფერენციების, ყრილობების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების შესახებ, ამავე დროს მოცემულია ინფორმაცია კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ცალკე ინფორმაცია წარდგენილი არ

არის, ფაკულტეტის ბიუჯეტი ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც გამოვლინდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის დეკანთან შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2020 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტი სხვადასხვა კვლევითი ღონისძიებების განსახორციელებლად შეადგენს 4 მილიონ ლარს, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში - 1 მილიონ 800 ათას ლარს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში o ფაკულტეტის ბიუჯეტი (2020 წელი)
რეკომენდაციები: o არ აღინიშნება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არ აღინიშნება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ აღინიშნება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის,

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისათვის საჭიროა დაინტერესებული პირების მიერ შემუშავებული საინიციატივო წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლების ენას, პროგრამის მიზანსა და უნივერსიტეტის მისიასთან მის კავშირს, განიხილება შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საინიციატივო წინადადება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერი წარედგინება ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. თანხმობის შემთხვევაში დეკანი უზრუნველყოფს საკითხის გატანას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისას შეიძლება გამოვლინდეს სხვა აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების თანამონაწილეობის აუცილებლობა. ფაკულტეტის საბჭო, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, აყალიბებს პროგრამის პროექტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფს (შემდგომში - ჯგუფი) და ნიშნავს ჯგუფის ლიდერს – პროგრამის დროებით ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს. უნივერსიტეტის მიერ წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების შესახებ, რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით. აკრედიტაცის დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სადოქტორო პროგრამის წარდგენის მიზნით თვითშეფასების ჯგუფი მუშაობდა 2 თვის განმავლობაში. ამასთანავე, როგორც აღინიშნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, ახალშექმნილი პროგრამის ფარგლებში თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის საფუძველია ძველი პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით შექმნილი თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაა (1.5 წლის განმავლობაში). შემდგომ, მოხდა თვითშეფასების ჯგუფის განახლება, ამავე დროს პროგრამის ხელმძღვანელი დარჩა შეუცვლელი. ხელახალი აკრედიტაციისთვის წარდგენილი სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სიაში არ იყვნენ წარდგენილი სტუდენტები და პროგრამის კურსდამთავრებულები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებელობა მიეცა ესაუბრათ რეაკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამის ძველი თვითშეფასების ჯგუფის წევრებს (სტუდენტები და კურსდამთავრებულებები). მიუხედავად ამისა, სათანადო ახსნა არ იყო წარდგენილი, თუ რატომ არ მოხდა წინა თვითშეფასების ჯგუფის წევრების ჩართულობა ახალი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში. ზემოთ აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტების და კურსდამთავრებულთა მოსაზრებები პროგრამასთან დაკავშირებით (სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა) გათვალისწინებული იქნა ახალწარდგენილი სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღსანიშნავია განმავითარებელი და თვითშეფასების ჯგუფის შორის კოორდინირების პროცესი, რომლის ფარგლებში შესაბამისი რჩევები გათვალისწინებული იქნა პროგრამის საბოლოო ვარიანტის შედგენის დროს. მისასალმებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან პროგრამის ხარისხისთვის პასუხისმგებლობლობის დელეგირება ფაკულტეტის დონეზე, რაც პერსპექტივაში მიზნად ისახავს სისტემატიური მონიტორინგის მექანიზმის უფრო ეფექტურ დანრგვას.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნაკლები ჩართულობა სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების და შეფასების პროცესში, რაც პოტენციურ გავლენას ახდენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ეფექტურობას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს დროს გამოვლინდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საერთაშორისო ურთიერთბების დარგში საუკეთესო გამოცდილების შესწავლა, მაგრამ მსგავსი დოკუმენტი არ მოიპოვება წარდგენილი დოკუმენტაციის პაკეტში. ამ მხრივ სასურველია, ხარისხის სამსახურის დროული ჩართულობა პროგრამისთვის აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში და შემდგომ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბრძანება თვითშეფასების ჯგუფის შესახებ (10.07.2020) o ბრძანება პროგრამის შექმნისა და განვითარების ჯგუფის შესახებ (10.07.2020) o დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების შესახებ o საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი o სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ (17.04.2018) o საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური ვიზიტის დროს o თვითშეფასების და განვითარების ჯგუფების ოქმები 1, 2, 3.
რეკომენდაციები: o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეტი ჩართულობა საჭიროა პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არ აღინიშნება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ აღინიშნება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ასევე ვიზიტის დროს (განხორციელებული ინტერვიუების შედეგად) არ გამოვლინდა შემუშავებული და შესაბამისი ერთეულის მიერ დამტკიცებული მექანიზმი საერთაშორისო

ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებისათვის.

ამავე დროს, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული პროგრამების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პროგრამების შედგენის და განხორციელების შეფასების შედეგები არ იქნა დაფიქსირებული წარდგენილ დოკუმენტებს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბრძანება თვითშეფასების შესახებ (10.07.2020)
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში

რეკომენდაციები:

- საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით გარე შეფასების მექანიზმის შემუშავება და დანარგვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ აღინიშნება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ აღინიშნება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ აღინიშნება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით აღწერილია 17 აპრილის 2018 წლის ხარისხის უზრუნველყოფისშიდა მექანიზმების დოკუმენტში.

ნათლად წარდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები, როგორიცაა მომხმარებელზე ორიენტაცია, ხელმძღვანელობის ლიდერობა, თანამშრომელთა ჩართულობა, მუდმივი გაუმჯობესება, გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან .

საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და

გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. კითხვარის საბოლოო ვერსია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოკითხვა ტარდება პერიოდულად ონლაინ რეჟიმში. ამასთან ერთად, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების მაჩვენებლები. გარდა ამისა, შემუშავებულია კითხვარები დამსაქმებლებისათვის. ამ კითხვარებით, ერთი მხრივ, იძლევა შესაძლებლობა დამსაქმებლებმა შეაფასონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და, მეორე მხრივ, - დამსაქმებელს შეაფასებინონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დამტკიცდა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების დროს. ამისთანავე, დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ხელს შეუწყობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის სიღრმისეულ შესაწავლას, წარდგენილი იქნა ვიზიტის დღეს. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მოხდეს ამ პროცესის სათანადოდ კოორდინირება და დოკუმენტაციის დროულად წარდგენის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აღინიშნა მონაწილეობის მიღება პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების განახლების/შემუშავების პროცესში. როგორც გამოჩნდა ინტერვიუს დროს, ფაკულტეტის შესაბამისი ერთეულისგან საჭიროა შეტყობინება მინიმუმ 2 დღით ადრე.

ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიების დროს გამოვლინდა მათი ნაკლებად სისტემატიური და ძირითადად არაფორმალური ჩართულობა ახალი პროგრამის შემუშავებაში. მხოლოდ ერთი დამსაქმებლის მხრიდან აღინიშნა პროგრამის თვითშეფასების-განვითარების ჯგუფებში სისტემატიური მონაწილეობა.

აკრედიტაციის დოკუმენტების შორის ასევე წარდგენილია შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავს 2016-2017-2018 წლის მონაცემებს მოთხოვნა-მიწოდების კომპონენტების გათვალისწინებით. აღნიშნული კვლევა მოიცავს ზოგად მიგნებებს საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულებების მიერ. ამავე დროს საჭიროა მიღებული შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური უნარებიდან გამომდინარე. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევაშიდა ახალი სადოქტორო პროგრამის შედგენის პროცესში ჩართული იყოს მეტი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმომადგენელი, სხვა დაწესებულებების ფარგლებში კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები, რათა კვლევის შედეგები უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

ასევე, წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში არ მოიპოვება სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ განვითარების ჯგუფის ოქმი ამ კვლევებზე მუშაობას ერთ-ერთ პრიორიტეტად აღნიშნავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o დაინტერესებული პირთა გამოკითხვების შედეგები (კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები) o შრომის ბაზრის ანალიზი o განვითარების ჯგუფის ოქმი # 1 o საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში
რეკომენდაციები: o აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის სრულყოფილი გამოყენებისათვის სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვების ჩატარება, მათი სისტემატიური მონიტორინგი, ანალიზი და პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების დახვეწა სადოქტორო პროგრამის სისტემატიური მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ აღინიშნება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

40 (ორმოცი)

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგ-რამის მიზანი, სწავლის შედ-ეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვა-ტურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მა-თთან ინდივიდუალური მუ-შაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უ-ზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვი-თარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ირაკლი მანველიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ივანნა მაჩიტაძე

ნანა ფირცხელანი